



European Commission
TEMPUS



მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

2011 წლის 22 მარტი, თბილისი

გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში

ევროკავშირის TEMPUS -ის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებული სასწავლო პროგრამების პრეზენტაციის მონაწილეებს შორის

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

საქართველოში გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების დარგის განვითარების ხელშეწყობა უნივერსიტეტებსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის გაღრმავების, თანამედროვე და ინოვაციური სასწავლო პროგრამების განხორციელებისა და დარგის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადების გზით.

მუხლი 2. მხარეთა შეთანხმება

ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპზე დაყრდნობითა და საერთო ინტერესების გათვლისწინებით,

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბიომეცნიერებების დარგში



European Commission
TEMPUS



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის, ალექსანდრე კვიციანიშვილის სახით.

სსიპ – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის, ლაშა გოცირიძის სახით

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის, გიორგი დავთაძის სახით

და

ინდუსტრიის, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების (პარტნიორი ორგანიზაციები) წარმომადგენლები თანხმდებიან:

1. ჩამოყალიბდეს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას.

2. ხელი შეუწყონ:

ა) კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებითი ბიომეცნიერებების დარგში უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავებას, დანერგვას, განხორციელებასა და პოპულარიზაციას;

ბ) სტუდენტების მომავალ დასაქმებას;

გ) გამოყენებითი ბიომეცნიერებების დარგში საპარტნიორო ქსელის გაფართოებას, დაინტერესებული მხარეების მოზიდვასა და მხარეების საქმიანობის პოპულარიზაციას;

დ) ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბიომეცნიერებების დარგში



European Commission
TEMPUS



მუხლი 3. მემორანდუმში გაწვევრიანება

წინამდებარე მემორანდუმი ღია ინდუსტრიის, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. მემორანდუმის ძალაში შესვლისთანავე მემორანდუმის ხელმოწერ მხარეებს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება მემორანდუმში გასაწვევრიანებლად სხვა ორგანიზაციების მიღების თაობაზე.

მუხლი 4. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა

წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც შეადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შევა ისეთივე წესით, როგორც ეს მემორანდუმში.

მუხლი 5. მემორანდუმის ძალაში შესვლა

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.
2. წინამდებარე მემორანდუმი მოქმედებს 2 წლის განმავლობაში (სამაგისტრო პროგრამის სრული კურსის ხანგრძლივობის შესაბამისად), და ამის შემდგომ ძალაში დარჩება შესაბამის მხარეთათვის, თუ რომელიმე მხარე წერილობით, ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე არ აცნობებს მხარეებს მემორანდუმიდან გასვლის თაობაზე.



European Commission
TEMPUS



რის დასტურადაც, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია 2011 წლის 22 მარტს, ქ. თბილისი, 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე დედნად, ქართულ ენაზე.

ხელმოწერები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი,

2. სსიპ – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

რექტორი ლაშა გოცირიძე,

3. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი გიორგი დავთაძე

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბიომეცნიერებების დარგში



European Commission
TEMPUS



პარტნიორი ორგანიზაციები:

Handwritten signature
სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური

Handwritten signature
(სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური)
სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური
სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური

სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური
სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური

სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური
სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური
სსიპ ეკონომიკის
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის
სამსახური



European Commission
TEMPUS



პარტნიორი ორგანიზაციები:

ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი
საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება "კლავი"
სა(ა)ი.შ. "აგრო კაზალ და სხივი სარეზი მისი. შპს. ქაჯანის
სტრუქტურა